№ 1 (1419) იანვარი 1974

# ნიანგი

გამოცემის 51-ე წელი ფასი 20 კაპ.




ნახ. ბ. ფირცხალავასი

ნიანგის სამიზნე — 74

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩანახატი




**რედაქციაში** ჩიტი შემოფრინდა, დაღლილობა ემჩნეოდა. თავზე უცნაური რაღაც დაემაგრებინა, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო.

— მოსკოვიდან მოვფრინავ, ბავშვთა სამყაროში თმის სამაგრი ყვავილი ვიყიდეო, — ჩაიჭიკჭიკა.

— მეტიჩარა ბრძანებულხარ, ჩვენო ჩიტო-ჩიორავ, თორემ განა საქართველოში, მით უმეტეს თბილისში, თმის სამაგრი არ იშოვება?

— როგორ არ იშოვება, მაგრამ... — ჩიტმა მორცხვად დახარა თავი და, თითქოს წამოსცდაო, ჩაიჭყიპინა: — თბილისში ძვირია! აქ თმის სამაგრი ყვავილი 25 კაპიკი ღირს, მოსკოვში კი — 4 კაპიკი.

— ალბათ, ხარისხშია განსხვავება, — შევნიშნეთ ჩვენ.

— ხარისხში არა, მაგრამ 21 კაპიკში კი არის, — კვლავ ჩაიჭიკჭიკა ჩიორამ და გაფრინდა.

საინტერესოა, როგორ დაინერგა მომხმარებლისათვის ასეთი „ხელსაყრელი“ პროდუქციის გამოშვება? „მომხმარებლისათვის ხელსაყრელი“ სიტყვამ მოიტანა და არ შევცდებით, თუ წინასწარ ვიფიქრებთ, რომ ამ საქმის თავის დამდგმელებს ამაზე არც უფიქრიათ და არც ჩაფიქრებულან. ყურადღება გამახვილებულა მხოლოდ პროდუქციის გამოშვებაზე, მაგრამ ვინ თქვა პირველად: „თმის სამაგრი ყვავილი?“ ამაზე, პირველ რიგში, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სინთეზური და პლასტმასის ფაბრიკის ფილიალ „პლასტმასის“ დირექცია გვპასუხობს: „...**თმის დამჭერი „ყვავილები“ ათვისებულია ფაბრიკის მიერ მ-წ. აგვისტოს თვეში, ხარატ კ. ტყეშელაძის ჩანახატის მიხედვით, ჩანახატი შესრულებული იყო ნატურიდან...**“

როგორც საქმის ვითარებიდან ირკვევა, „ჩანახატმა ნატურიდან“ დიდი მოწონება დაიმსახურა. ფაბრიკის საგეგმო განყოფილებამ (გამგე მ. **ციხისელი**) შეადგინა სათანადო კალკულაცია. დამზადებული ნიმუში წარადგინეს სამხატვრო-ტექნიკურ საბჭოზე და საბჭომაც დაამტკიცა.

შემდეგ თბილისის საქალაქო საბჭოს ფასების განყოფილებამ, არსებული წესის მიხედვით, დააწესა საცალო ფასი 25 კაპიკი (არტ. ტგ-101-34).

1973 წლის 3 სექტემბრიდან ფაბრიკა შეუდგა თმის სამაგრი „ყვავილის“ სერიულ და სერიოზულ გამოშვებას. ამავე წლის 1 დეკემბრისათვის დამზადდა 72.500 ცალი, რომლის მთლიანი ღირებულება 18.125 მანეთია.

არც ფაბრიკის დირექციაში, არც საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოში, არც სამხატვრო-ტექნიკურ საბჭოზე განხილვისას და არც საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილებაში არავის დაბადებია ასეთი კითხვა: „ვინ არის ავტორი? მოიტანა თუ არა პროდუქციის ნიმუში ხარატმა-„გამომგონებელმა“ ფაბრიკაში? ნუთუ, მარტო ჩანახატით შეიძლებოდა ყველა ტექნიკური მონაცემის ასე ზუსტად შესწავლა? და, რაც მთავარია, არავინ იკითხა, რა ღირდა „ნატურიდან ჩანახატის“ თვით დედანი? რომელი ფაბრიკა უშვებს მას. შეიძლება თუ არა გამოცდილების გაზიარება?

**„...ფაბრიკისათვის ცნობილი არ ყოფილა მსგავსი პროდუქციის გამომშვები საწარმო და ერთეულის ფასი“,** — გვითხრეს „პლასტმასის“ დირექციაში.

საინტერესოა, მომავლისათვის რის „ჩახატვას“ აპირებენ „ნატურიდან?“

**ჟანი სიხარულიძე**

## აზრიანი ფრაზები

● **„ვოლგას“** თავისივე ბორბლები იპარავსო.

● **ზოგი** ხელს რომ არ შეგიშლის, ისიც დახმარებაა.

● **ისტორია** ყველას აქვს, მაგრამ ყველა როდია ისტორიული პიროვნება.

● **კუს** ბინა საძებარი არა აქვს: შვილებიც დაბადებიდანვე დაბინავებული ჰყავს და ზურგიც მაგარი აქვს.

● **დირექტორმა** ქვა ააგდო და თავი... მოადგილეს შეაშვერინა...

## ლექსიკონი

● **მამის კისერი** — ტრამპლინი ზოგიერთი შვილისათვის.

● **ასაკში წასვლა** — ექსკურსია უკან დაუბრუნებლად.

**გიგლა ბახტაძე**

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ექვსი მანეთი რა ამბავია საათში?
— ქალბატონო, ჩვენში სწავლაა უფასო, მომზადება კი არა!

# საინტერესო შემთხვევა

*(ზოგიერთი გაზეთის სტილი დაცულია)*

მოქალაქე შტამპავა სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა. როცა ვიწრო ქუჩაზე შეუხვია, აქ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა, რომელმაც შეაფერხა მისი წინსვლა სახლისკენ შემდგომი მოძრაობის საქმეში. ქუჩის შუაგულში იდგა უზარმაზარი ძაღლი და ჩასისხლიანებული თვალებით შტამპავას მიჩერებოდა. უკანდახევა დასცემდა შტამპავას პრესტიჟს საკუთარ თვალში და იქვე მდგომი მანდილოსნების თვალშიც. ძალის პოზიციებიდან მოქმედებას კი არავისთვის არასდროს მოუტანია კარგი შედეგი და შტამპავამაც უკუაგდო მოქმედების ეს გზა. ძაღლი ნელა და დამაჯერებლად მოიწევდა წინ და შტამპავა იძულებული შეიქნა, განეხორციელებინა მთელი რიგი თავდაცვითი ღონისძიებანი უშიშროების უზრუნველყოფისათვის, რაც გამოიხატა მის მიერ მიწიდან ქვის აღებაში და საწყისი მდგომარეობის მიღებაში. ყოველივე ამან განაპირობა ძაღლის ერთ წერტილზე გაყინვა და შემთხვევის ადგილზე მოსული ცელქი ბავშვების მიერ მისი შემდგომი წაქეზება. ყოველ წუთს შეიძლება განხორციელებულიყო ძაღლის მიერ ადამიანზე თავდასხმის ცდა და ამიტომ შტამპავა იძულებული შეიქნა, უკან დაეხია. აქ მოხდა ყველაზე საინტერესო, რასაც ამდენ ხანს ელოდნენ ფანჯრებიდან გადმოფენილი მაყურებლები და წამქეზებელი ბავშვები: როცა ადამიანის მეგობრად წოდებულ ძაღლსა და მის მსხვერპლს შორის მანძილი მინიმუმამდე შემცირდა, ძაღლმა განახორციელა ნახტომი და ფეხზე კბენა, რამაც გამოიწვია შტამპავას მიერ დაკივლება, შემდგომი გულის წასვლით და მიწაზე დაცემით. მაგრამ, სანამ მიწაზე დაეცემოდა, ძაღლის მხრივ ახალი თავდასხმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მამაცმა ადამიანმა მოასწრო ძაღლისთვის თავში ქვის ჩარტყმის განხორციელება, რამაც ძაღლის თავის გაპობა და მისი მიწაზე დანარცხება გამოიწვია. ამ ინციდენტის შემდეგ, უპრეცედენტო შემთხვევით აღშფოთებული ახლომდებარე სახლების მცხოვრებნი გარეთ გამოცვივდნენ და ძაღლსა და მის მსხვერპლს შემოეხვივნენ. გონს სანახევროდ მოსულმა შტამპავამ თვალები სანახევროდ გაახილა და მილიციელის შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია მისი მწოლიარე მდგომარეობაში გადასვლა, განაცხადა: „სამიშროებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ“. დიახ, მისი მტკიცე რწმენით, ეს ძაღლის მიერ მისი ფეხის კბენა და ტრავმის მიღება განაპირობა მოწინააღმდეგის შეუფასებლობამ და დაუმატა, რომ ეს გარემოება, ალბათ, მიზეზი გახდება მისი ექიმთან შემდგომი სიარულისა, ნემსების ჩხვლეტის საქმეში გაცოფების თავიდან აცილების წარმატებით განხორციელებისათვის.

როცა მიღწეულ იქნა შტამპავას ფეხზე დაყენების მდგომარეობა, მან მადლობა გადაუხადა იქ დამსწრეთ მხურვალე დახმარებისათვის.

ს. ჯაფარიძე

ხაშურის რაიონში მომუშავე ზოგიერთი ექიმი ერთდროულად „ასწრებს“ ბორჯომის, ახალციხისა და თეთრიწყაროს რაიონების სამედიცინო მომსახურებას.



— აბა, ერთად ჩაისუნთქეთ, ამოისუნთქეთ! მე თვითონ ამოსუნთქვის საშუალება არა მაქვს!

## ერთი ლექსის გამო

*(...და ერთი კრიტიკული შენიშვნის გამო)*

ჩვენი დებატის ინტროდუქცია ასეთ ასპექტში წარმოგვესახება:

„მე შენ გეტრფი, ჩემო თბილის
ქალაქო,
რომ იცოდე, ძლიერ დიდი ხანია...“

ღაღადებს ანონიმური ავტორი და იქვე აღმოხდება:

„ვაკის მხრიდან გაფარია მთანია,
მაგრამ მაინც ზომიერი ქარია...“

რითაც უმალ შევყავართ დროულ-ვრცეული კონსტანტების საკრამენტალურ ლაბირინთებში.

ბუნების წიაღში მომწყვდეული ჰიპოსტაზირებული სულის ინტროსპექტული რეგისტრების იგნორირებით დაძლეული დომინირებული მისტიკური ინტონაცია ადექვატურად რეაგირებს მიკროსამყაროს რეცეპტორულ ნეიროკვანძებზე და ქვანტიტეტის ქვალიტეტად ტრანსფორმაციის აპოთეოზში ჰპოვებს ირრაციონალურ იდილიურ კათარზისს.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, რომ ავტორს, თუნდაც ანონიმურს, უნდა ჰქონდეს თავისი სულიერი დისციპლინა, შინაგანი, იდიოტური... მაპატიეთ, იდიომატური პრობლემატიკა მორალურ განაზერში.

ეს კონგენიალურად ჩანს შემდეგ სტრიქონებში:

„ხან იწვიმებს, იღრუბლება,
არე-მარე სველია,
საღამოზე, მზე რომ ჩავა,
დილამდე სულ ბნელია“.

გარდა აქ გამოკვეთილი სპონტანური კაუზალობისა, იგი ყურადღებას იქცევს სათქმელის კონტურული სიცხადით, ანუ უფრო ზუსტად, აზრის ფარული მეტაფორულობით, რომელიც აპოდიქტიკურად განაპირობებს მეტაფორით აღმოცენებულ ემოციას.

„დილამდე სულ ბნელიაო...“

როგორც ხედავთ, სათქმელი ფორმულასავით ცხადია, თუმცა, გააჩნია ფორმულასაც...

აქვე უნდა ითქვას, - რომ ლექსში თვით საწყისის არსი ამბივალენტური, ორაზროვანია. იგი ალოგიკურად ითავსებს თავის შინაგან თავში სიბრიყვესა და უმაღლეს სიბრძნეს, კომიზმსა და ტრაგიზმს, ასონანსსა და კონსონანსს, დისონანსსა და რეზონანსს. აქა გვაქვს პოეტური ემოციის გრავიტაციულ-ოლიმპიური რანგი, როცა ლექსის ეფექტი ემყარება არა რომანტიულ ტრანსს, არამედ პოზიტიურ, ანალიტიკურ, ემპირიულ-აბსტრაქტულ, სინთეზურ-ინდუქციურ - დედუქციურ - რედუქციულ შემეცნებას...

ლევან ჩანტლაძე

ნახ. თ. მირზაშვილისა



— შენი მმართებს რამე?
— არა!
— აბა, რაზე არ მაძლევ ხურდას?

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— ხომ დაგაკმაყოფილეს ყველაფრით? ახლა რაღას უჩივით?
— სიბერეს.

ნახ. ა. კანდელაკისა




— წასვლის წინ რაღაც მომაგონდა და 74 წელს მინდა დავუბარო!
— 74-ზე, ბაბუა, მთელი წელი რომ რეკო, ვერ მოხვდები!

## 2 მ. ბიჭებო!..

ორმეტრიანო ბიჭებო,
ულვაშებაღერილებო,
ხანდახან — გალიმებულნო,
ხანდახან — აღრენილებო.

დახლთან რა პირით დამდგარხართ.
რა პირით ჰყიდით „პერაშკებს"?
ვითომდა, ამ ქვეყანაზე,
სხვაგვარად ოჯახს ვერ არჩენთ?

ცხრაგვარად დაიკეცებით,
ას გრამ არაყს რომ მოგვართმევთ,
თქვენს შვილებს რას ეუბნებით.
შაურში აბაზს რომ გვართმევთ?..

კაცი შეგხედავთ, იფიქრებს,
ლომსაც შეიპყრობთ ხელდახელ!
„პადუშკა" კამფეტს რომ ჰყიდით,
სხვა სამუშაო ვერ ნახეთ?

ან რა სინდისით გვაწოდებთ
ჭიქა წყალს — უგაზ-უშაქროს?
ქალის პერანგის გაყიდვას
თქვენებურიღა უნდა შნო?

რომ ივარჯიშოთ, სამ თვეში,
თქვენს სიმაღლეზე ახტებით!
მძიმე წონაში მსოფლიო
ჩემპიონები გახდებით!

არა მშურს თქვენი სიმაღლე,
არც სხვა რამ მალაპარაკებს,
მე მინდა, თქვენისთანები
აგებდნენ სოფელ-ქალაქებს!

მე მინდა, ოფლი იდინოთ,
მე მინდა, ტკბილად იძინოთ!
კაიკაცურად იტიროთ,
კაიკაცურად იცინოთ!

მინდა, სახალხო საქმეში,
თქვენი მარჯვენაც ერიოს,
იოლ ცხოვრების მანია
ვერასდროს ვერ მოგერიოთ!

*ავთანდილ გურგენიძე*

## ნაკვესები

● **ჩვენს** ქუჩაზე ჭადრის ხეები გადაჭრეს, მაგრამ მთავარი საკითხები გადასაჭრელი დარჩა.

● **შოფერი** მაგიდაზე ჭიქას ჭიქაზე აჯახებდა და გზაზე — მანქანას მანქანასო.

**გიორგი შეთეკაური**

● *უნიჭო პოეტს* მარილებისა და უმარილო ლექსების დაგროვება აღმოაჩნდაო.

● *მკითხველმა* ინატრა: უხეირო ავტორს, ნეტავ, ბიჭი შეეძინოს, რომ ყურის აწევის საბაბი მოეცესო.

*ვ. ჯავრიშვილი*

## მინიატურა

— მამიკო, რატომ მომატყუე, ერთი ადამი და ერთი ევა იყოო?!
— როგორ, შენ სხვა ადამსა და ევას იცნობ?! — გაოცდა მამიკო.
— ვერც კი დაითვლი, იმდენია!
— კი მაგრამ, სად გაიცანი?
— ზღვაზე!

*თინა ხმალაძე*

ნახ. ჯ. ლოლუა...



— ამ ახალგაზრდებს ქორწინება თოჯინებით თამაში ჰგონიათ!

## ვინ არის დამნაშავე?

**ამას** წინათ მოეწყო რეიდი დედაქალაქის ქუჩებში. რეიდის მონაწილეებმა შეამოწმეს ქუჩებში მდებარე ურნების მდგომარეობა და მეტად სავალალო სურათი გადაეშალათ თვალწინ: ზოგიერთი ურნა სანაგვე ყუთს მოგაგონებდათ!..

ვინ არიან ეს ადამიანები, რომლებიც ასე აბუჩად იგდებენ საზოგადოებას?

აი, ზოგიერთი მათგანიც:

მოქალაქე ქ. ბ., თავის ამფსონებთან ერთად, დილით, სამსახურში მიდიოდა. ეტყობოდა, წინალამის ნასვამი არ იყო და უქეიფოდ მიაბიჯებდა ფართო, მოკირწყლულ ქუჩაზე. უცბად იგი ხის ქვეშ მდებარე ურნასთან შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, როცა დარწმუნდა, არავინ უყურებდა, ამოიღო სიგარეტის კოლოფი, დაჭმუჭნა და შიგ ჩააგდო. მაგრამ, რამდენიმე მეტრიც არ გაევლო, რომ წინ გადაუდგნენ და საბუთები მოსთხოვეს (რადგან ურნა პირთამდე იყო სავსე და სიგარეტის კოლოფი ქუჩის სავალ ნაწილზე დაეცა).

სასამართლო პროცესზე ბევრი იმართლა თავი მოქალაქე ქ. ბ-მ, მაგრამ დამნაშავის მუდარამ ვერ მოულბო გული სასამართლოს მუშაკებს.



ახალგაზრდა **გ. ძ.** მანამ არ ჩამობრძანდა ავტობუსის წინა კარებიდან, სანამ მძღოლმა მანქანა არ დაამუხრუჭა, პირდაპირ მიიჭრა გაჩერებასთან მდებარე ურნასთან და, ყველას თვალწინ, ავტობუსის ბილეთი ურნაში ჩააგდო. ახალგაზრდა **გ. ძ**-ს კარგი ბიჭობა ჯერ მარტო იმაში ეტყობა, რომ მან კონდუქტორს ბილეთი გამოართვა!..

გულცივად ვერ ჩაუარა ოპერის ბაღთან მდებარე ურნას მოქ. **თ. შ-მ.** ეტყობა, ამ არამზადამ, ჯერ გული იჯერა გაზეთის კითხვით, შემდეგ დაჭმუჭნა და ურნაში ჩააგდო. მან კვალის აბნევაც კი სცადა, მაგრამ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში.

ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც დიღმის მასივში დაიდგა თანამედროვე სტილის ლამაზი ურნა, სამწუხაროდ, ქუჩის რაინდებმა მოასწრეს უკვე მასში რამდენიმე ღერი ასანთის ჩაგდება.

მსგავსი ფაქტების მოტანა შორს წაგვიყვანდა. ვფიქრობთ, ამ საქმეში, ნაწილობრივ მაინც, ბრალი მიუძღვით იმ პირებსაც, რომლებსაც პირთამდე გავსებული ურნები არ მიაქვთ დასაცლელად.

**ნომადი ბართაია**

## არ ვიცი, რა გამოვა

**ჩვენდა** საუბედუროდ, სტუმრად გვეწვია მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი კარლო კანთელაძე.

ჩემს პატარა ბიჭუნას რომ მიუალერსა, მერე ჩანთა მოსთხოვა და იქ სასწრაფოდ მოძებნა არითმეტიკის რვეული.

გადაფურცლა, გადმოფურცლა. ისევ გადაფურცლა, გადაათვალიერა და გადმოათვალიერა. მერე ყდას დახედა და ისეთი გაოცებული სახე მიიღო, გვეგონა, რაღაც უბედურება გვემუქრებოდა...

— როგორ? ბიჭუნას მათემატიკის ასეთი ნიჭი ჰქონია, თქვენ კი ჩვეულებრივ სკოლაში დაგყავთ... შვილი თქვენია, როგორც შვილი, მაგრამ ასეთი ნიჭი ხალხს ეკუთვნის!

მე და ჩემი მეუღლე დამნაშავეებივით მივჩერებოდით მეცნიერებათა კანდიდატს.

იგი განაგრძობდა:

— მე ვიცნობ სპეციალური სკოლის დირექტორს, ხვალიდან იქ ისწავლის თქვენი ბიჭუნა!..

პატივცემული კარლო თვითონ თამადობდა ჩვენს მაგიდას. პირველი სადღეგრძელო თავის ღლევანდელ აღმოჩენას — ჩემს ბიჭუნას — მიუძღვნა. აკოცა, მიულოცა...

როცა კარლო კანთელაძე, რის ვაი-ვაგლახით, ჩავსვით „ვოლგაში" (ძალზე მთვრალი იყო) და გავისტუმრეთ, ბიჭუნა ეზოშივე მეცა.

— მამი, მე მათემატიკოსთა სკოლაში არ გადავალ, მე არ ვიცი ეს საგანი...

მე მეცნიერებათა კანდიდატი მოვიშველიე.

— იმან, — ხაზგასმით ვუთხარი შეწუხებულ შვილს, — უკეთ იცის, რა ხარ შენ და რა მომავალი გაქვს...

— მამა! მამა!.. — არ მეშვებოდა ბიჭი, — არითმეტიკას ყოველთვის ჩემი ამხანაგისაგან, ცაცო კაკულიადან ვიწერ. ერთხელაც არ გამომიყვანია მაგალითი მარტო...

მე საქმე აღარ გავამწვავე. ვიფიქრე: კაცი სტუმრად იყო, გვიქო ბიჭუნა, გვასიამოვნა და წავიდა, მორჩა და გათავდა ხვალ ყველაფერი დავიწყებას მიეცემა...

მაგრამ მეორე დღე საბედისწერო გამოდგა. კარლო კანთელაძემ თავისი ინიციატივით გადაიტანა ჩემი ბიჭუნას საბუთები სპეციალურ სკოლაში და როცა ამ საკითხზე შვილის უთანხმოება გავუზიარე, ღიმილით თქვა: „თავმდაბლობა, მოკრძალება... ჭეშმარიტი ნიჭის თანამგზავრია..."

ცოტა ხანში ამას ისიც დაემატა, რომ ერთმა ნაცნობმა ჩემს ბიჭში ინგლისური ენისაკენ „მიდრეკილება" აღმოაჩინა და გვირჩია, თუმცა სპეციალურ სკოლაში გერმანულს ასწავლიან, მაგრამ ბიჭი ინგლისურისათვის არის დაბადებული და აუცილებელია, მასწავლებელი დაუქირაოთო...

თანაც იქვე მოგვცა მასწავლებლის მისამართი.

რაც ღრმად შევტოპეთ, უფრო დავკარგეთ სხვათა რეკომენდაციებისა და ათასგვარი რჩევებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

ასე, მაგალითად: ჩემი ბიჭუნა ახლა მეცადინეობს ბალეტში. ვიღაცამ კომპოზიტორობა უსურვა და მთელ თავისუფალ დროს პიანინოს უზის. მთავარი დირიჟორის როლში მეუღლეა...

ასე დამიფანტეს შვილი. თვალსა და ხელს შუა გამომაცალეს და აქეთ-იქით დააკონწიალებენ. ისიც როგორღაც შეეგუა ორომტრიალს და გაწამაწიას. სრულ უპასუხისმგებლობას გრძნობს და, ჯერჯერობით, ყველაზე უკეთ... „ტვისტს" ცეკვავს.

**ვლადიმერ გელაშვილი**

ნახ. მ. აბაშიძისა



— მე რა ღმერთი ვარ? აგერ, ეს კაცი, ინსტიტუტში რომ შედის, შტერად გავაჩინე და პროფესორი გახადეს!



— თუ შეიძლება, გაგვიმხილეთ საიდუმლო, ასი წლის კაცი ასე ყოჩაღად როგორ ხარ?
— სულ უბრალოდ: არ ვსარგებლობ ტელეფონით, ტელევიზორით, ტროლეიბუსით, ტაქსით, ცენტრალური გათბობით...



— ამას თუ გავიტანთ, თორემ კიდეც რომ უნდოდეს პენსიაზე გასვლა, თავისი ფეხით ვერ გავა.

ნახ. დ. ერისთავისა



— ეს გადასასვლელია, თუ გადასასწრები?

ნახ. ჯ. ლოლუასი



უტექსტოდ.

ჯუანშერ ეცადაძემ ერთხელ კიდევ შეაღო გამომცემლობის დირექტორის მისაღები ოთახის კარი და დირექტორი იკითხა.

— მოვიდა, შებრძანდით! — უთხრა ამჯერად მდივანმა.

ჯუანშერმა ფრთხილად შეაღო კაბინეტის კარი, ქაღალდებში თავჩარგულ დირექტორისაკენ ნელი ნაბიჯით გაემართა და დაბალი ხმით მიესალმა.

დირექტორმა ქაღალდების კირკიტს თავი მიანება, ჯუანშერს ალმაცერად ახედა და შეეკითხა:

— თქვენ ჩემთან წიგნის გამოცემის თაობაზე მობრძანდით?

— დიახ! — უპასუხა ჯუანშერმა.

— სამწუხაროდ, ამჟამად თქვენთან საუბრის დრო არა მაქვს, კოლეგიის სხდომაზე მივდივარ! შეგიძლიათ, ჩემს მოადგილესთან მიბრძანდეთ და მას მოელაპარაკოთ წიგნის გამოცემის თაობაზე!

სანამ ჯუანშერი მოადგილესთან მივიდოდა, დირექტორმა დაურეკა და უთხრა: „შენთან ახალბედა ავტორი გამოვგზავნე, ნაშრომი დაიტოვე, რეცენზიები მოთხოვე და წიგნის გამოცემის ვადა არ აღუთქვა. ამ წელს რეცენზიების შეგროვებას მოუნდება, მომავალი წლისთვის წიგნის მოსამზადებელ გეგმაში შეტანას შეჰპირდი, მერმისისთვის თემატური გეგმა მოიმიზეზე და შემდეგ... შემდეგ ვნახოთ, როგორ იქნება საქმე!"

წიგნის გამოცემის სამი წლით დაყოვნებამ ჯუანშერი ცოტა დააფიქრა და დირექტორის მოადგილეს უთხრა:

— ჩემი ნაშრომი მეცნიერული გამოკვლევაა და, სამი წლის შემდეგ აქტუალობას დაკარგავს, თუ შესაძლებელია უფრო ადრე გამოცემა, წიგნი მეტ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას!

მოადგილემ ნაშრომი ხელში აიღო და ჯუანშერს შეეკითხა:

— თქვენ სად მუშაობთ?

— კანისა და ვენერიული დაავადების კვლევით ინსტიტუტში.

— თქვენს ნაშრომში თმის ამოყვანის საკითხი ხომ არ გაქვთ განხილული? — შეეკითხა მოადგილე და მელოტ თავზე ხელი გადაისვა.

— სამწუხაროდ, ჩვენმა ინსტიტუტმა ეს პრობლემა, ჯერჯერობით, ვერ დაძლია, მაგრამ არსებობს არაოფიციალური საშუალება... ჩვენს ქუჩაზე ერთი ექიმბაში ცხოვრობს. იგი უებარ წამალს ამზადებს. მელოტ თავზე, მესამედ წასმის შემდეგ, თმა ამოსვლას იწყებს.



— თუ შეიძლება, თქვენი ტელეფონის ნომერი ჩამაწერინეთ! — უთხრა მოადგილემ და ალფაბეტიანი წიგნაკი მოიმარჯვა.

ჯუანშერმა თავისი სამსახურის ტელეფონის ნომერი და მისამართი ჩააწერინა.

მეორე დღეს დირექტორის მოადგილე სამსახურში თორმეტ საათზე მოვიდა. კაბინეტში შევიდა თუ არა, მელოტ თავზე ბუზი დააჯდა და საშინლად უკბინა. გამწარებულმა მოადგილემ თავის ფხანა დაიწყო, მერე მაგიდის უჯრიდან ალფაბეტის წიგნაკი ამოიღო და ჯუანშერის ტელეფონის ნომერი აკრიფა. ყურმილში ქალის ხმა შემოესმა. მოადგილე ცოტა შეყოვნდა და შეეკითხა:

— კანისა და ვენერიული დაავადების კვლევითი ინსტიტუტია?

— დიახ! — უპასუხა ქალმა.

— თუ არ შეწუხდებით, ჯუანშერს თხოვეთ!

— ჯუანშერი ათი წუთის წინ წავიდა ზემდგომ ორგანოში თავის ნათესავთან!

— რა თანამდებობაზე მუშაობს ზემდგომ ორგანოში მისი ნათესავი?

— ამბობენ, პასუხისმგებელი მუშაკიაო..

მოადგილემ ქალს მადლობა გადაუხადა, ყურმილი დადო და დირექტორთან ინფორმაციის წარსადგენად მოემზადა.

ამ პერიოდში ხალხში ხმა იყო გავრცელებული, დირექტორს ათავისუფლებენო.

მოადგილე შევიდა დირექტორთან და მოახსენა:

— თქვენ რომ გუშინ ახალბედა ავტორი გამომიგზავნეთ, მისი ნათესავი ზემდგომი სადირექტივო ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკი ყოფილა და ჩვენც დაუყოვნებლივ უნდა გამოვცეთ მისი წიგნი, რაც თქვენს პოზიციებსაც განამტკიცებს.

— წიგნის გამოსვლის შემდეგ უარყოფითი რეცენზიების თავიდან ასაცილებლად, სპეცრედაქტორად მოვიწვიოთ ყველაზე უფრო კომპეტენტური სპეციალისტი და გადავუხადოთ სარედაქტორო ჰონორარი ნიხრის უმაღლესი ნორმით. თუ სპეცრედაქტორს ეს პირობები არ დააკმაყოფილებს, უნდა აღვუთქვათ წიგნის გამოცემა თემატური გეგმის გარეშე! — უთხრა დირექტორმა.

დირექტორმა და მოადგილემ სიტყვა საქმედ აქციეს და, ორი თვის შემდეგ, ჯუანშერ ეცადაძე დირექტორის კაბინეტში მიიწვიეს დასტამბული წიგნის საავტორო ეგზემპლარების მისაღებად. დირექტორი და მოადგილე ჯუანშერს გაღიმებულნი შეეგებნენ კაბინეტის შუაგულში და წიგნის გამოცემა მიულოცეს. ახალგაზრდა ავტორი გაოგნებული დაჰყურებდა წიგნს და თვალებს არ უჯერებდა, რომ ხელში თავისი დასტამბული ნაშრომი ეჭირა.

მოადგილემ წიგნის გაფორმება მოიწონა და ჯუანშერს უთხრა:

— სასურველია, თქვენმა ნათესავმა, ზემდგომი სადირექტივო ორგანოს პასუხისმგებელმა მუშაკმა, ჩვენი გრიფით გამოცემული წიგნის თითო ცალი ხელმძღვანელ პირებს გადასცეს.

— პასუხისმგებელი კაცი ნამდვილად ჩემი ბიძაა, მაგრამ ის მებაღე-დეკორატორად მუშაობს და, ნუთუ, იმაზე მეუბნებით? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ჯუანშერმა.

დირექტორს სახეზე ღიმილი გაუქრა და მრისხანე მზერა მოადგილეს მიაპყრო. მოადგილე თავდახრილი იდგა და აპრიალებულ მელოტ თავს იფხანდა, ხოლო ჯუანშერი, წიგნებით ხელში, მშვიდი ნაბიჯით გადიოდა კაბინეტიდან...

კონსტანტინე ჯანბიძე



უტექსტო

## გამარჯობა, ძვირფასო ნიანგო!

**შენზე** ამბობენ, მოგზაურობა უყვარსო. თუ ეგ მართალია, ნუ დაიზარებ და სადგურიდან № 7 და № 8 სვლაგეზის ტრამვაის გამოყევი! გამოყევი, ძვირფასო, ოღონდ თავშესაქცევის წამოღება არ დაგავიწყდეს! თუ უძილო ხარ, შეგიძლია გამოიძინო კიდეც! კარგა მოზრდილი მოთხრობა ან პატარა რომანიც შეგიძლია ჩაათავო, ან მომხიბლავ ასულს მიუჯდე გვერდით და, პირობას გაძლევ, ბოლო გაჩერებამდე ათჯერ შეთანხმდებით მომავალ შეხვედრაზე! დროა, ძმაო, მთავარი, დრო... დრო კი აქ თავზესაყრელი გექნება!

შენ იმის არ შეგეშინდეს. რა ჰქვია... ვაგონების! მრავალფერებში შეღებილი ვაგონები, ჭუჭყიანი იატაკი და ჩამტვრეული ფანჯრები, მე მგონი, დიდი უბედურება არ უნდა იყოს. ეს ვაგონები ბაბუათქვენის ხნისაა.

მარშრუტი თუ სვლაგეზი № 7 და № 8 ერთადერთი მოსახერხებელი ტრანსპორტია ჩემი და ჩემი სამი მეგობრისთვის. ეს ტრანსპორტი გვაკავშირებს სამსახურთან და, გვინდა-არ გვინდა, ტრამვაით უნდა ვისარგებლოთ. დილით, [illegible] შემთხვევაში, 15-20 წუთი გვიხდება ხოლმე ლოდინი. მერე სიჩქარე როგორი აქვს, არ იკითხავ? კუს ნაბიჯით მივდივართ.

შენზე ამბობენ, გაჭირვების ტალკვესიაო! გვიშველე, შე კაცო!..

გელოდებით!

P. S. ერთხელ უკვე მოგწერეთ და თქვენგან არავინ ჩანს. თუ ამ ტრამვაით მოდიხარ, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი!

**ავრორა ფანჩულიძე**

## სადაურსა სად წაგვიდებ!..

— სადაურსა სად წაიყვან, ბედო! — ამოიოხრა მანდარინით გატიკნილმა ტომარამ, რომელიც ის-ის იყო, „ერევან-მოსკოვის“ მატარებელში შეაგორეს, — გუდაუთის რაიონის სოფელ ფსირცხის მკვიდრმა მოსკოვში უნდა ამოვყო თავი!

— ვისი ხარ, ტომარავ? — გასძახა მას თოკგადაკრულმა ჩემოდანმა, რომელიც, აგრეთვე, მანდარინით იყო გატენილი.

— სოფელ ფსირცხის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრის — **გარეგინ სარქისის ძე მაჩკალიანის!** — ამაყად წარმოთქვა ტომარამ. — შენც მოსკოვისკენ ხომ არ მიემგზავრები, ლამაზო ჩემოდანო?

— გამოცანა გექუთვნის! ასე ანება ჩემმა პატრონმა, ფსირცხელმა **კეციკ გრიგორის ასულმა კაზანჯიანმა.** ბრძენი ქალია კეციკი და ამბობს ხოლმე, მუშაობას ვაჭრობა ჯობიაო. ჰოდა, დადის, ჩემთან ერთად, ბაზრიდან ბაზარში...

ვაგონში ბრეზენტგადაკრული ვეება ყუთი შემოხრიგინდა.

— აბა, ცოტა მიიწ-მოიწით, თორემ ჩემი ძვალმსხვილი პატრონი, ფსირცხელი **ტაშიკ ამბარცუმის ასული ბოჯოიანი** ძვლებს დაგიმტვრევთ!

— ეს სად მოვხვდი?! — იყვირა ლამაზმა ჩანთამ, — გვერდზე თუ არ მივდექი, მთლად გამთხუპნიან ეს ბინძური ჩემოდანტომრები. აფსუს, ჩემი პატრონი, ფსირცხელი **ნარინ აკოფის ასული გრიგორიანი!** ყოველ წუთს საგულდაგულოდ მაპრიალებს.



— ბევრს ნუ ტლიკინებ! — მიაძახა ტალახში ამოგანგლულმა ტომარამ, — სადაცაა, მატარებელი .გავა.

— რა დიდ გულზე ხარ, თუ იცი? — იუკადრისა ჩანთამ.

— დიდგულობა ჩემს პატრონს, — ფსირცხელ **არშაკ არუთინის ძე ბოჯოიანს** მოკითხე; ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად!

— აბა, გზა! — შემოაბოტა ვაგონში ჭრელმა ზურგჩანთამ, — ხომ ხედავთ, ჩემი პატრონივით, **ვაზგენ ივანეს ძე ვარლეჯიანივით,** მეც ერთობ სტილნი რამა ვარ. კარგი ადგილი მიბოძეთ!

ფსირცხელი ბარგი რომ მილაგდა, ვაგონში ტელევიზორივით ოთხკუთხედი ყუთი შემოცურდა.

— ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ვაჟა არტემის ძე თოლორაია!** — გააცნო ყუთმა თანამგზავრებს თავისი პატრონი.

— მე კი გალის რაიონის სოფელ შეშეთის კოლმეურნეობის „შეშეთის“ წევრს, **ტერენტი ტიხოს ძე მარკელიას** ვეკუთვნი! — კარებიდანვე დაიყვირა ვეება ჩემოდანმა.

— მაშ, მივემგზავრებით, არა? — თქვა ერთმა.

— თუ გაგვიშვეს, კი... — იჭვნეულად ჩაილაპარაკა მეორემ, — ალბათ, გეცოდინებათ, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უკანონოდ გაზიდვა რომ აკრძალულია!

— გასული ვართ და ეგ არის! სადაცაა, მატარებელი დაიძრება...

მაგრამ, მატარებლის დაძვრამდე, ზედმეტი ბარგივით, დაძრეს ბარგი ადგილიდან და პერონზე გაადენინეს ზღართანი.

— ვაი, ჩვენს პატრონს! — ამოიგმინეს ერთხმად ტომარა-ჩემოდან-ყუთ-ჩანთებმა, — ზედმეტი ბარგი ჩვენ კი არა, ჩვენი უტვინო და უსინდისო პატრონები ყოფილან!

**გაიოზ შავერზაშვილი**

ნახ. ჯ. ლოლუასი



## ჩვენი ფოსტა

**ბათუმიდან** წერილი მივიღეთ, რომელშიც მოთხრობილი იყო, თუ როგორ იკარგებოდა ზღვისპირა პარკიდან ფრინველები, ნარგავები, სკამები და პარკის სხვა განკუთვნილი სხვა საჭირო ნივთები. რედაქციამ, ამის თაობაზე, გამოაქვეყნა წერილი „ბათუმელის“ ხელმოწერით.

როგორც საქმის ვითარებიდან ირკვევა, ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, ჯერ კიდევ 1973 წლის 13 მარტს, დასვა საკითხი აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე. **„პარკში გაპიროვნებული ოცეულის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ და მოითხოვა 5548 მანეთის ანაზღაურება. ეს ის თანხაა, რომელიც იზარალა პარკმა მწვანე ნარგავებისა და ზოოკუთხის ფრინველების დატაცების შედეგად, მაგრამ სამინისტროს აქედან, დღემდე, პრაქტიკული დასკვნები არ გაუკეთებია...“** — მოგვწერეს ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან.

როდემდე ველოდოთ პრაქტიკულ დასკვნებს? როგორც ჩანს, მარტო მიმოწერა არ არის საკმარისი, ეს თავის დაზღვევას უფრო ჰგავს.

რედაქცია იმედოვნებს, რომ გაფრენილი ფრინველები მოფრინდებიან, ნარგავები თავის ადგილს დაუბრუნდებიან, ზღვისპირა პარკის კუთვნილი ნივთები მოიძებნება და მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდება.


მთავარი რედაქტორი
ზურაბ გემაზაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე) ნ. შველიძე, გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 11/XII-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/I-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 3908 უე 01607 ტირაჟი 135.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-18-42, 93-10-78, 93-19-32.

74-51
ეროვნული ბიბლიოთეკა
Индекс 76137

ინგლისში განუხრელად იზრდება ფასები.

გაზეთებიდან

7/1974.

ნახ. გ. ლომიძისა




**ინფლაციური ციებ-ცხელება**